პროექტი

10

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № _ _

2021 წლის _ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის მე-13 და მე–15 პუნქტების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩას ეწოდოს ტრიფონ სულაკაძის სახელი (დანართი საკადასტრო რუკის სახით თან ერთვის).
2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას კონკრეტული ღონისძიებების გატარება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — მურმან შალამბერიძე

1055

# სიტუაციური ნახაზი




წთლად დაშტრიხულია ტრიფონ სულაკაძის სახელობის გზა.

| | | |
|---|---|---|
| მისამართი: წყალტუბო სოფ. ქვედა მესხეთი | გზის სიგრძე: 1257.0 მ. | |
| პირობითი აღნიშვნები:<br>- - - - გზის შუახაზი<br>გზის პოლიგონალური ფენა<br>მეზობელი ნაკვეთები<br>შენობა-ნაგებობები | საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი | |
| | შემსრულებელი: | |
| | დაინტერესებული პირი | |
| | თარიღი: 20.06.2021 წ. | მასშტაბი 1:3,500 |

10

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

2498-01-2-202107261048

N 01/2498
26/07/2021

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისთვის (შემდგომში კომისია) გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე, თქვენს მიერ N49-49211935, 12.07.2021 (4198/01, 12.07.2021) წერილით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გიგზავნით ამონაწერს, ამავე კომისიის 2021 წლის 19 ივლისის N27 სხდომის ოქმიდან.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

1049

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის
ოქმი N27-დან ამონაწერი

ქ.თბილისი 19 ივლისი, 2021 წელი

დისტანციური ფორმით ჩატარებულ კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ : ილია ზეგიაშვილი, ნიკოლოზ როსებაშვილი, მიხეილ გვათუა, გიორგი დიდიძე, პაატა ჯაოშვილი, ნინო ზახია, ვაჟა კიკნაძე, ვახტანგ მაღრაძე, გიორგი პეტრიაშვილი, მარიკა ოძელი, თეა ტეტელოშვილი, გიორგი ალაბეგაშვილი, შორენა წიკლაური. კომისიის 15 წევრიდან ესწრებოდა 14. სხდომა უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილებები.

სხდომის თავმჯდომარე: ილია ზეგიაშვილი
სხდომის მდივანი: მიხეილ გვათუა

საკითხი N5. განიხილეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

განსახილველი საკითხის ანოტაცია: ტრიფონ სულაკაძე - სასულიერო მოღვაწე დაიბადა 1895 წელს სოფ. ქვედა მესხეთში. ის გახლდათ მოწამეთა წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მათი წმინდა ნაწილების ეკლესიისათვის დაბრუნებაში, გარდაიცვალა 1977 წელს. დაკრძალულია ეკლესიის ეზოში.

მოსაზრება დააფიქსირეს: ილია ზეგიაშვილმა, ნიკოლოზ როსებაშვილმა, მიხეილ გვათუამ, გიორგი დიდიძემ, პაატა ჯაოშვილმა, ნინო ზახიამ, ვაჟა კიკნაძემ, ვახტანგ მაღრაძემ, გიორგი პეტრიაშვილმა, მარიკა ოძელმა, თეა ტეტელოშვილმა, გიორგი ალაბეგაშვილმა, შორენა წიკლაურმა.

დაადგინეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

ჩატარდა კენჭისყრა. მომხრე -14 , წინააღმდეგი -0.

ამონაწერის სისწორეს დედანთან ვადასტურებ,

კომისიის მდივანი მიხეილ გვათუა

1050

პროექტი

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2021 წლის _ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის მე-13 და მე–15 პუნქტების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩას ეწოდოს ტრიფონ სულაკაძის სახელი (დანართი საკადასტრო რუკის სახით თან ერთვის).
2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას კონკრეტული ღონისძიებების გატარება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი                    გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე                    მურმან შალამბერიძე

1051

# ს ი ტ უ ა ც ი უ რ ი   ნ ა ხ ა ზ ი




წითლად დაშტრიხულია ტრიფონ სულაკაძის სახელობის გზა.

| | | |
|---|---|---|
| მისამართი: წყალტუბო სოფ. ქვედა მესხეთი | გზის სიგრძე: 1257.0 მ. | |
| პირობითი აღნიშვნები:<br>- - - - გზის შუახაზი<br>გზის პოლიგონალური ფენა<br>მეზობელი ნაკვეთები<br>შენობა-ნაგებობები | საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი | |
| | შემსრულებელი: | |
| | პასუხისმგებელი პირი | |
| | თარიღი: 20.06.2021 წ. | მასშტაბი 1:3,500 |

1052

ადრესატი:

მურმან შალამბერიძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49212097**
თარიღი: **28/07/2021**

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მურმან შალამბერიძეს

ბატონო მურმან,
გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის მიერ მოვიდა თანხმობა, რომ სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩას ეწოდოს ტრიფონ სულაკაძის სახელი. ყოველივე აქედან გამომდინარე წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს, რომ განიხილოთ კომისიის, ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1053

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

### დ ა ს კ ვ ნ ა

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 30 ივლისის კომისიის სხდომაზე განიხილა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმიდან ამონაწერი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების თაობაზე, თანხმობის გაცემის შესახებ.

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

1054